სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მესამე ტურის მეორე ეტაპის აღწერა და მოთხოვნები

მოსწავლეთა პრეზენტაციების შეფასება

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის პირველი ეტაპის შედეგად გამოვლენილი 41 საუკეთესო მოსწავლიდან თითოეული სპეციალური კომისიის წინაშე წარადგენს მის მიერ ოლიმპიადის მესამე ტურის პირველ ეტაპზე დაწერილ ესეს. პრეზენტაციისას შეფასდება მოსწავლეთა ზეპირი მეტყველება, პრეზენტირების უნარი, არგუმენტირებული მსჯელობა, სამოქალაქო ღირებულებების პატივისცემა და დასმულ კითხვებზე სხარტი და საზრიანი პასუხი.

თითოეულ მოსწავლეს ესეს წარსადგენად დაეთმობა მაქსიმუმ 10 წუთი. დროის ამოწურვის შემდეგ მან პრეზენტაცია უნდა შეწყვიტოს.

მოსწავლეებს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ მათ მიერ დაწერილი ესეების პრეზენტაცია მოამზადონ მათთვის ხელსაყრელ ფორმატში (ფლიფჩარტი, whiteboard-ი, Power Point-ი). თუ მოსწავლეს სურვილი აქვს გამოიყენოს ელექტრონული ვიზუალური მასალა, პრეზენტაციაზე უნდა მოიტანოს ფაილი USB Flash ბარათის საშუალებით.

კომისიის წევრები მოსწავლეთა პრეზენტაციებს სპეციალური შეფასების სქემის (იხ. ვებ გვერდი) მიხედვით შეაფასებენ და შეარჩევენ 20 საუკეთესოს. სწორედ ეს 20 მოსწავლე იქნება სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის გამარჯვებული.

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მესამე ტურის II ეტაპი ჩატარდება ქალაქ თბილისში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, 2015 წლის 5-6 მაისს. პრეზენტაციის ზუსტ დროს ინდივიდუალურად ვაცნობებთ თითოეულ მონაწილეს.